ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-19/011733869 1-17

"02." 03. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, ნაკვეთი №1-ში (საკ. კოდი №01.10.06.014.016) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება – №3563116 25.09.2017წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3630671 23.10.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი - საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, ნაკვეთი №1-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

პარკინგის სართულზე „1-6" და „დ-ზ" მონაკვეთში გაუქმებულია ფართი. „6-9" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი და მოწყობილია „1-2" მონაკვეთში. „8-9" და „ა"-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კედლები. „2-3" მონაკვეთში „გ-გ" ღერძთან და „დ-ე" მონაკვეთში „7-7" ღერძთან დამატებით მოწყობილია ბაქანი და კიბის საფეხურები. შემცირებულია გარე კედლების სისქე.

მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის განსხვავებულად აღნიშნული პროექტში. ნაწილი კოლონების გაბარიტები არ ემთხვევა საპროექტოს. „დ-ე" და „6-7" მონაკვეთში სართულებზე დამატებით მოწყობილია კოლონები. სართულებზე შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. გაზრდილია ლიფტის შახტის გაბარიტები, ასევე გაზრდილია ლიფტების რაოდენობა. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა, ადგილმდებარეობა და გაბარიტი.

+34.05 ნიშნულზე „1-1" და „ზ-ზ" ღერძებზე შემცირებულია კედლის სისქე.

+37.35 ნიშნულზე „გ-დ" მონაკვეთში გაზრდილია ლიფტის შახტის გადახურვის სიგანე „გ-გ" ღერძისკენ. ამავე ნიშნულზე „3-7" და „ბ-ე" მონაკვეთში შეცვლილია კედლების გაბარიტი. „ა'-ბ" მონაკვეთში „6-6" ღერძთან გაზრდილია კედლის სიგრძე, ასევე გაზრდილია კედელი „გ-გ" ღერძთან „8-9" მონაკვეთში.

+40.65 ნიშნულზე შეცვლილია სავენტილაციო შახტის ადგილმდებარეობა და რაოდენობა.

ფასადები: ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი, ასევე შეცვლილია დეკორატიული ლესვა. ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრის და ვიტრაჟების გაბარიტი, ვიზუალი და ადგილმდებარეობა, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი. შეცვლილია მოაჯირების ვიზუალი. +40.65 ნიშნულის ზემოთ „2-3" და „6-7" მონაკვეთში გაზრდილია ლიფტის შახტის გადახურვის სიმაღლე. დამატებით მოწყობილია წყლის გამათბობელი დანადგარები და კონდიცირების კონდინციონერები. ფასადებზე დამატებულია სარეკლამო წარწერები და ბანერები. ±0.00 და +4.20 ნიშნულებს შორის გაუქმებულია ქვით მოპირკეთება და დეკორაციული ელემენტები.

„1-9" ფასადი : „5-5" და „1-1" ღერძებთან დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. +34.05 ნიშნულზე „4-4" და „5-5" ღერძთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი. ±0.00 ნიშნულზე შეცვლალია ვიტრაჟების გაბარიტი და ვიზუალი. კარ-ფანჯრები და ვიტრაჟები ნაწილობრივ შესამინია. შესამინია ფასადზე კარ-ფანჯრების და ვიტრაჟების ნაწილი, ასევე შესალესი და შესაღებია აივნის ძირები.

„9-1" ფასადი : +34.05 ნიშნულზე „1-1" ღერძთან გაუქმებულია კაპიტალური მოაჯირი და გაზრდილია ლითონის სიგრძე. „3-1" ღერძთან მონაკვეთში ±0.00

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ნიშნულზე დამატებით მოწყობილია პარკინგზე ჩასასლელი პანდუსის გადახურვა და მეტალოპლასტმასის კარადა.

„ა''-ზ'' ფასადი : „დ-ე'' მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები მოაჯირებით და ბაქანი, ასევე ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ლითონის კარი. „გ-გ'' ღერძზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. „+37.20 ნიშნულის ქვემოთ „გ-გ'' ღერძთან დამატებით მოწყობოლია მონოლითური ფილა.

„ზ-ა'' ფასადი : „დ-გ'' მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კედელი. „გ-ბ'' მონაკვეთში შეცვლილია მინაბლოკების ღიობების გაბარიტი. „ე-დ'' მონაკვეთში შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ასევე გაზრდილია ღიობების რაოდენობა, ამავე მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კარი. +34.05 ნიშნულზე „ზ-ზ'' ღერძთან და +37.35 ნიშნულზე „გ-გ'' ღერძთან დამატებით მოწყობილია საველტილაციო შახტები. +40.65 ნიშნულზე „გ-ბ'' მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „ზ-დ'' მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია კიბის საფეხურები, ბაქანი და ვიტრაჟი.

ეზოში რელიეფის გასამაგრებელი კედელი და ეზოში შესასვლელი პანდუსი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად;


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. "შს დეველოპმენტი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი II, ნაკვეთი №1-ში (საკ. კოდი №01.10.06.014.016) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117338691-17 04.12.2017წ. და
№19/01173382109-17 04.12.2017წ. განცხადებები.
№წ-19/0117338691-17 06.12.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე



ვალერი ბერიძე